ოთხშაბათი, 9 თებერვალი 1905 წ. წელიწადი 1877—1905 ოცდა-მეცხრე ოთხშაბათი, 9 თებერვალი 1905 წ.

გაზეთის ფასი:

12 თვით	. .	10 მ.	— კ.
11 „	. .	9 „	50 „
10 „	. .	8 „	75 „
9 „	. .	8 „	— „
8 „	. .	7 „	25 „
7 „	. .	6 „	50 „
6 „	. .	6 „	— „
5 „	. .	5 „	50 „
4 „	. .	4 „	75 „
3 „	. .	3 „	50 „
2 „	. .	2 „	75 „
1 „	. .	1 „	50 „

ივერია

№ 19 ეოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 19

ფლიერის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვ ს 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

„ივერიის“ რედაქცია გადავიდა

ბუშკინის ქუჩაზედ, ტფ. საკრედიტო საზოგადოების სახლში, მესამე სართულში, თამამშეების ქარვასლის პირდაპირ, ნეიშელლერის საავჭრო ფირმის გვერდით, ერევნის მოედნის მახლობლად,

ღია დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდგან 8 საათამდე.

ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო

გაზეთი „ივერია“

განახლებულის რედაქციით ჯერ-ჯეროგით ვერ გამოდის. გაზეთი კიდევ რამდენისამე დღის განმავლობაში ძველის რედაქციითა და ფინანდელის ზომისა უნდა გამოვიდეს.

ახალი განცხადება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ფასი 10 მანეთი ერთის წლით. **„ივერია“** ცალკე ნომერი 3 კაპეიკი

წელიწადი ოცდა-მეცხრე

გამოვა ყოველ დღე, ორშაბათობითაც

განახლებულის რედაქციით და ახალ თანამშრომელთა მონაწილეობით

გაზეთის ფორმატი გადიდებული იქნება

ამასთან წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ წლის განმავლობაში

პრემიად 12 წიგნს

შემდეგის საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა“. ამ წიგნებში მოთავსებული: იქნება: ბელლეტრისტიული, პუბლიცისტიური, ეკონომიური და ისტორიული წერილები, უმთავრესად საქართველოს ცხოვრების შესახებ, აგრეთვე ოჯახში გამოსადეგი ცნობები დარიგებანი და სხვანი.

როგორც თვით გაზეთში, ისე საპრემიო წიგნებშიაც იქნება ხოლმე **სურათები** და სხვა-და-სხვა **ილუსტრაციები**.

გაზეთის წლიური ფასი რჩება იგივე, რომლის გადახდაც შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც: წლის დამდეგს 4 მან., 1 მაისს 3 მან. და 1 აგვისტოს 3 მან.; ვინც ნახევარ წლით ან თვიურად გამოიწერს, უნდა შემოიტანოს თვეში თითო მანეთი.

სახალხო სკოლების მასწავლებლებს, თვით სკოლებსა და სახალხო სამკითხველოებს გაზეთი პრემიებითურთ დაეთმობათ 7 მან. ან ნახევარის წლით 4 მან., ამ შედავათიან ხელის მომწერთაც შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ ხვედრი ფული: ყოველთვე თითო მანეთი, ვიდრე სრული შემოსატანი შესრულდებოდეს.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, редакція „Иверія“

ვირჟელი

კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი—9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ, შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოდაშვილი—9—11 საათამდე. კბილების ავადმყოფობანი.

ექიმი ქალი **ა. ე. ზჩერბინინა**—1½—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

გ. ა. თარხანოვი—7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

პ. ა. არდაზიანი—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას 5—7 საათ.

ს. ტ. არეანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაკს, აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.** Тифлисъ, противъ памятн. Воронпову. წლ.

წარმოდგენა № 16 ტელეფონი №63

აბონემ. რიცხვში.

სახაზინო თეატრი.

სუთშაბათს, 10 თებერვალს 1905 წ.

ბენეფისი ტასო აბაშიძისა

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა

პეპელათა ბრძოლა

კომედ. 4 მოქ., თხზ. ზუდერმანისა. თარგ. ვ. შალიკაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. ჩხეიძე! ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, შათირიშვილი, შალიკაშვილი და სხვ.

სდგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე.

მორიგე რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

ტფილისის სახაზინო თეატრი

ანტრეპრიზა საიპ. თეატ. არტ. ლ. დ. დონსკოისა.

ოთხშაბათს, 9 თებერვალს, ქ-ნ ე. ა. ორლოვის საბენეფისოდ, დ. დ. დონსკოის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება

„მ ა ნ ო ნ ი“

ოპერი 5 მოქმ., მუსიკა მასსენეისი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ორელი, ნიკიტსკაია, ხარიტონოვა, ზასლავსკაია; ბ-ნნი დონსკოი, პოლუიანოვი, გალეცკი, დემიანენკო, პორუბინოვსკი, ბაგროვი, ზალინსკი, მურატოვი. კაპელმეისტერი მიკლაშევსკი. უფროსი რეჟისორი გეცევიჩი. დასაწყისი 8 საათზედ. ხუთშაბათს, 10 თებერვალს, ქართული წარმოდგენაა. ქ-ნ ტასო აბაშიძის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება **„პეპელათა ბრძოლა“**, დრამა 4 მოქმ. ზუდერმანისა, თარგ. შალიკაშვილისა. ბილეთები იყიდება. გამგე ი. კელლერი.

ომის ამბები

საზღვაო ომი ერთის წლის განმავლობაში. «ნ. ფ. პრ.“-ეს სამხედრო მიმომხილველი რუსეთ-იაპონიის საზღვაო ომის შესახებ სწერს: „ისტორიაში არ არის არც ერთი ისეთი ხანა, რომ ვინმე ესე ძალზედა და საშინლად დამარცხებულიყო, სროგორც რუსეთი. ისტორიაში არც ერთი ფლოტი არ განადგურებულა ისე სამარცხვინოდ, როგორც რუსეთის ფლოტი განადგურდა. ერთხელ მაინც გაემარჯვნა, ან იაპონიის ფლოტზე სუსტი მაინც ყოფილიყოს! მერე რა იყო ამის მიზეზი? ნუ თუ მარტოოდენ ტეხნიკური უვარგისობა რუსეთის ფლოტისა, ან მისი სიმცირე? წლის განმავლობაში რუსეთი ფლოტზე იმოდენა ფულს ხარჯავდა, რომ ამ ფულით აშენებული ფლოტი იაპონიას ხელსაც არ გაანძრევინდებდა. რასაკვირველია, არავინ არ იტყვის, რომ ეს ფული სულ მთლად ფლოტზე იხარჯებოდა, მაგრამ ომის დასაწყისს რუსეთს ისეთი ძლიერი ფლოტი ჰყავდა, რომ ეს ფლოტი გამოცდილ და ჭკვიან კაცის ხელში რომ ყოფილიყო, იაპონიის ფლოტს თავისუფლად შეებრძოლებოდა; მაგრამ რუსებმა ეს ფლოტი გაჰფანტ-გამოჰფანტეს, გულ-ხელ დაკრეფილნი ისხდნენ და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იაპონია ომის გამოცხადებას ვერ გაბედავსო. როცა ფლოტი გამოცდაში იჭრება, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ საზღვაო და სახელმწიფო ორგანიზაციაც კი არ ვარგა ამ სახელმწიფოში. ეს ორგანიზაცია ყვითელ ზღვაში გამოცდის დროს ჩაიჭრა და საქვეყნოდ შერცხვა. ჩვენ გვჯერა, რომ რუსეთს დიდი შეძლება აქვს და ახალ ფლოტის შექმნასაც მოახერხებს. მაგრამ საქმე ამაში არ არის: ისტორია ამის წინააღმდეგია. იგი ამბობს, რომ სანამ სახელმწიფოს წეს-წყობილება არ შეიცვლება, მარტო საზღვაო წეს-წყობილების შეცვლით არაფერიც არ გამოვა. მაგრამ სად და როდის დაინტერესებულა ბიუროკრატია ისტორიით“? (ნ. ჟ.).

წვრილი ამბები. უფიდან იუწყებიან, ამ დღეებში უფაში რამდენიმე სალდათი დასტოვეს შორეულ-აღმოსავლეთს მიმავალი, რაგან ამ სალდათებს ციმბირის ჭირი შეჰყროდათ. ზოგიერთს მათგანს რამდენიმე მუწუკი ჰქონდა. ექიმების აზრით, სალდათებს ჭირი ქურქებისაგან შეჰყრიათ. (ბ. ვ.).

იაკუტსკიდან იუწყებიან, იქ ისეთი შიმშილობაა, რომ ხალხი ძაღლებსა სჭამდაო. ომის გამო აქ სურსათი აღარ მოდიოდაო. (ნ. ვ.).

„პიატიგორსკი ლისტოკ“-ის კორესპონდენტი, სხვათა შორის, შემდეგს იწერება მანჯურიიდან: „ჩაჩნების სოტნამ სამსახური აღარ ისურვა; 40 ჩაჩანი სამხედრო სამართალში მიცეს; სასამართლომ ორ კაცს თოფით დახვრეტა მიუსაჯა, მაგრამ ერთს აპატიეს, ერთი-კი თოფით დახვრიტეს; დანარჩენს 18 წლით კატორგა გადაუწყვიტეს. ეხლა სხვებსა ჰკითხეს, გსურთ სამსახური თუ არაო. ყველამ გამოაცხადა, ომის გათავებამდე ვემსახურებთო. (ო. ნ.).

ტოკიოდან მიღებულ ცნობებიდანა სჩანს, რომ იაპონიის ფლოტი მალე ზარბაზანს დაუშენს ვლადივოსტოკს. ადმ. ურიუს ესკადრა ვლადივოსტოკს უახლოვდება. (ბ. ვ.).

26 იანვარს საღამოთი ერთი წელიწადი შესრულდა, რაც რუსეთ-იაპონიის ომი დაიწყო. უცხოეთის პრესსა აღნიშნავს, რომ წარსულ წელიწადს იაპონია ყველგან გამარჯვებული გამოვიდა, ზღვაზეც და ხმელეთზეც. ზღვაზე იაპონიამ რუსის ფლოტი მთლად გაანადგურა და რუსეთს ეხლა მხოლოდ სამი დაზიანებული კრეისერი-ღა დარჩა ვლადივოსტოკში. ხმელეთზეც იაპონიამ მრავალ ბრძოლაში დაამარცხა რუსის ლაშქარი, კორეია და სამხრეთ მანჯურია ხელში ჩაიგდო და მიუვალი ციხე—პორტ-არტური აიღო.

ინგლისური გაზ. „დეილი მეილ“-ი სწერს: იაპონელებმა 820 ზარბაზანი წაართვეს რუსებს, რუსებმა-კი მხოლოდ 15 ზარბაზანი (ერთი ამათგანი ტყვიის მტყორცნელი იყო) წაართვეს იაპონელებს. პორტ-არტური სულ მცირედ 500 მილიონად ჰღირს. რუსეთს ომზე 880 მილიონი მანეთი დაეხარჯა, იაპონიას 480 მილიონი მანეთი. (ნ.).

ახალი ამბავი

გუშინ ვწერდით, **რომ** ბაქოში 6 თებერვალს **შეტაკება მოჰხდა თათრებსა და სომხებს შორისაო.** როგორც „ცნ. ფურ.“ იუწყება, შეტაკება მომხდარა დილის ათ საათზე. პირველად ჩხუბი მოსვლიათ სომეხსა და თათარს. თათარს ძლიერ დაუჭრია სომეხი. ამის გამო ბულვარში შეკრებილა დიდძალი თათრობა და სომხობა. მოჩხუბართა გასაშველებლად დაიბარეს 50 ყაზახი, რომელთაც გაჰფანტეს შეკრებილი ხალხი. გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ე კი იუწყება, მიზეზი ის იყო, რომ ერთმა სომეხმა მოჰკლა ადგილობრივი მდიდარი თათარი და ამ მკვლელობამ გამოიწვია თათრების გააფთრებაო. ბევრია თურმე მოკლულ-დაჭრილი. ვისაც შეუძლიან, გარბის და იმალება. ქუჩები დაცარიელდა. მთელი ქალაქი შიშის ზარმა მოიცვა.

*** ბათუმის ქალაქის გამგეობის წევრის თანამდებობაზედ 29 იანვარს აურჩევიათ ბ-ნი **გრ. ვოლსკი**, რომელიც აირჩიეს ამ თანამდებობაზედ, მაგრამ საგუბერნიო ადმინისტრაციამ არ დაამტკიცა რაღაც **გაუგებარ** მიზეზით და თავის ნებით **დანიშნა** ბ-ნი ივანოვი. ივანოვმაც დაიდგა ყუთი, მაგრამ დიდის ხმის უმეტესობით გაშავებული იქმნა—მიიღო 15 შავი და 8 თეთრი კენჭი. ბ-ნს ვოლსკის კი 8 შავი და 15 თეთრი კენჭი ამოუვიდა.

*** ქუთაისში ყველაფერი მამასისხლად იყიდება თურმე. მაგალითად, გირვანქა ნავთი 19 კაპ. ჰღირს და არც კი იშოვება. გუბერნატორმა განცხადება გამოსცა, აღკრძალულია ჯგუფად თავის მოყრაო. პოლიციელები ჯამაგირის მომატებასა თხოულობენ, ალბად „ერთგულ სამსახურისათვის“. არქიელის მგალობელთა გუნდს ჯამაგირი მოუკლეს და ამის გამო გუნდმა გალობას თავი დაანება.

*** ადგილობრივ გაზეთებს ბათუმიდან სასიხარულო ამბავს სწერენ: იქ თურმე ხმა დადის, რომ განთქმული **ბაღმი სპობს** თავის **გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ გამოცემას** და ბათუმიდანაც სრულიად მიდის. თუმცა ყველა სტამბებში შუშაობა განახლდა, მაგრამ არც დეპეშები და არც გაზეთი 22 იანვარს აქეთ არ გამოსულა.

*** 7 თებერვალს ტფ. მცხოვრებლებმა განცხადება წარუდგინეს ქალაქის მოურავს საბჭოში გადასაცემად და განსახილველად. განცხადებაზედ რამდენსამე ასს კაცს უწერია ხელი. სხვათა შორის. მცხოვრებნი აცხადებენ, რომ დღევანდელს ვითარებაში აუტანელია ცხოვრება, რადგან **კანონიერება და წესი მუდამ ირღვევა ბიუროკრატიის წარმომადგენელთაგანაო.** თან რამდენიმე მაგალითიცაა მოყვანილი. მცხოვრებნი სთხოვენ ქალაქის საბჭოს, იღონოს რამე, **რომ** მსგავსი **უწესოებანი** აღარ განმეორდეს ქალაქში. ასეთივე კოლექტიური განცხადება წარუდგინეს ქალაქის საბჭოს გუშინ-წინ ტფილისის ნაფიცმა ვექილებმა და მათ თანაშემწეებმა.

*** 10 თებერვალს ქუთაისში საქმეების განხილვას შეუდგება ტფილისის სამოსამართლო პალატის სესსია. პალატა ხალხის დაუსწრებლად განიხილავს საქმეს ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა მერი კვილაძისა, აშორდიასა და სხვათა, რომელთაც **პოლიტიკური დანაშაულობა** ჰბრალდებათ.

*** 30 იანვარს ლანჩხუთში, **შუადღისას,** ხალხის დასანახავად, **მოჰკვეს** თავ. გურიელის მამულების გამგე **გლეხი ურუშაძე.**

*** ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქცია გვთხოვს გამოვაცხადოთ, **რომ** ამიერიდგან ჟურნალი ქუთაისში გაეგზავნება პირდაპირ „კოლხიდის“ საზოგადოებას, საიდგანაც ხელის მომწერლებს დაურიგდებათ. ჟურნალის ხელის მომწერლებს დაურიგდებათ აგრეთვე პოლ ბერის ზოოლოგია დამატებად.

*** თელავის მაზრის უფროსმა სთხოვა ბ-ნ გუბერნატორს, გვიშუამდგომლეთ ექსარხოსისა და სომეხთა სასულიერო მთავრობის წინაშე, **რომ** თელავის **მაზრის** ეკლესიების სამრეკლოები დაჰკეტონ და გასაღები მღვდლებს ჩააბაროს, **რადგანაც მთავრობის საწინააღმდეგო** ყრილობისათვის ხალხის მოსაწვევად სამრეკლოზედ ადიან და ზარებსა რეკავენო.

*** კვირას, 6 თებერვალს, აელაბარში, არაქსიანის თეატრში, **მოჰხდა ავლაბრელთა და ნავთლუღელთა კრება** თავიანთ კუთხის საჭიროებაზე მოსალაპარაკებლად. შეიკრიბა ათასამდე კაცი. თავმჯდომარეობდა ქალაქის მოურავი ბ-ნი ვერმიშევი. თითქმის ყველანი ქართულად ლაპარაკობდნენ, მშვენიერის და წმინდა ქართულის ენით. ორატორებმა დაწვრილებით აღნიშნეს ავლაბრისა და ნავთლუღის საჭიროებანი. კრება, სხვათა შორის, შეეხო აელაბარში ტრამვაის გაყვანისა და მუხრანის ხიდის გაკეთების საქმეს. ამათის წყალობით დაშორებული აელაბარი დაუახლოვდება ქალაქის შუაგულს. ერთმა ორატორმა ითხოვა, ბაზარი კახეთის მოედნიდან გადატანილ იქმნას პროვიანტის მოედანზეო. უმრავლესობა თანახმა გახდა. მეორე ორატორი შეეხო მეეზოვეებს. სამი კვირის განმავლობაში,—სთქვა

მან,—ჩემი მეეზოვე სადღაც იყო გამქრალი და ჯამაგირი კი მთელის თვისა-მომთხოვაო. კრებამ სურვილი გამოსთქვა, რომ ქალაქის თვითმმართველობამ შუამდგომლობა აღძრას მეეზოვეთა განთავისუფლების შესახებ საპოლიციო სამსახურისაგან. ლაპარაკი ჩამოვარდა ქუჩების მოკრწყვლის შესახებაც. მომკიდრწყვლელ კომისიის თავმჯდომარემ აცნობა კრებას, რომ ავლაბარში ქუჩების მოსაკრწყლავად გადადებულია 60,000 მანეთი. კრებამ მოითხოვა აგრედვე ავლაბარში დაწესდეს მეორე სასანიტარო ექიმის თანამდებობა, მოეწყოს მამუკას სოფელი, მიეცეს ამ სოფლის მცხოვრებთ საშუალება, რომ გეგმებით ააშენონ სახლები და სხვა.

* * კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო კავკასიის სცენებზედ ქართულად შემდეგის პიესების წარმოდგენისა: „კენჭის ყრა“, დრამატიული პოემა 4 მოქმედებად ქართველთა ცხოვრებიდან, გურულისა, და „მხატვარი თაშჩიანი, დრამა ოთხ მოქმედებად ლევონ მანველიანცისა, სომხურიდან თარგმნილი ალექსანდრე ბაჯიაშვილის მიერ.

* * „ცნ. ფურ.“-ს პირიქით ხევსურეთიდან ატყობინებენ, რომ ამ დღეებში სოფელ ქმოსტიდან სოფელ ღელეში მიდიოდნენ ხევსურები სოფ. ქმოსტის მცხოვრებნი: გიორგი, ვეფხვია, ოდინა გელა, სამძინარა, ბუბა, თამარ, ძილა და მზექალა ბურდულები, გზაზე თოგოლის ზვავი წამოსწევიათ და ყველანი უმსხვერპნია.

* * ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულების არჩევანი დასრულდა 5 თებერვალს. მე-6 ნაწილში რწმუნებულებად აირჩიეს მახარობელიძე, ტერ-დუკასოვი, კიბრიზოვი, ბუდაგოვ-ბადალოვი, ოქრუაშვილი, სარაჯიანცი, ჩიმიშკიანცი და დოვლათ-ბეკოვი. მოქალაქეთა მამასახლისმა გუშინ, 8 თებერვალს, წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლად ასლად არჩეულ რწმუნებულთა სია.

ქალაქის საბჭო

7 თებერვალს საბჭოს დარბაზს იმოდენა ხალხი მოაწყდა, რომ ტალახიცა და თვით დარაბაც-კი გაიჭედა. საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ ხმოსნებმა მიიწამოიწიეს და თავიანთ ადგილის ნახევარი მაყურებლებს დაუთმეს. ბევრი უადგილობისა გამო გულდაწყვეტილი უკანვე დაბრუნდა.

დღემდის უხმო ხმოსნების დაბარაკს მიჩვეული საბჭოს დარბაზი 7 თებერვალს არა-ჩვეულებრივისა და მისთვის უცხო დაბარაკის მოწამე იყო.

ქალაქის თავმა საზოგადოებას გამოუცხადა, სხდომას ხელს ნუ შეუშლით და ეცადეთ წესიერება დაიცვათო. შემდეგ წაიკითხა 46 ხმოსნის განცხადება. ხმოსნები თხოულობდნენ, მეეზოვენი საპოლიციო სამსახურისაგან უნდა განთავისუფლდნენო. ამის შესახებ ბევრმა იდაბარაკა. ყველა იმას ამბობდა, რომ მეეზოვენი ქალაქს მძიმე ლოდად დაწვნენ კისერზე, არავის მოსვენებას არ აძლევენ, ყველას,—დამნაშავესაც და უდანაშაულოსაც სცემენ და ამ მხრივ უსახსებსა და პოლიციელებსაც-კი გადაჯარბესო. „მეეზოვენი ცოცხების მაგივრად კეტებით შეიარაღდნენ,—სთქვა ს. არღუთინსკემ,—და დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცსა, მოხუცსა და ბავშვს ზურგზედ მტვერი აადინეს. ქალაქი მეეზოვეებზედ წელიწადში 500,000 მ ხარჯავს, მეეზოვენი-კი ქალაქს არბევენ, აოხრებენ, გარეშე მტერივით შემოესევნენ და ყველაფერი აიღეს და ყველას თავზარი დასცეს; ჩვენ-კი იმათ ჯამაგირს ვაძლევთ და ჩვენსავე აკლებასა, აოხრებასა და ტემა-ტეეპაში ხელს ვუწყობთ“. ხმ. ბაბოევმა და სხვებმაც მოიყვანეს ბევრი მაგალითი მეეზოვეთა თვითნებობისა, ძალმომრეობისა და მოსწავლეთა ტემა-ტეეპისა. ბაბოევმ, სხვათა შორის, სთქვა, რომ უმაღლესის მანიფესტით რიზგი აკრძალულია, მაგრამ მეეზოვეების კეტი რიზგზე გაცილებით უარესია, და მოითხოვა: რადგან მეეზოვეების ინსტიტუტსა და მათდამი მინიჭებულს უფლებას პირდაპირი კავშირი აქვს კავკასიაში შემოდებულს გაძლიერებულ დაცვის წესთან, ამიტომ შუამდგომლობა ადვილათ, რომ ეს წესი მოსპობილ იქმნასო. ბაბოევს ეკანგულოვიც დაეთანხმა, მაგრამ სვეშნიკოვმა განაცხადა, მაგის იმედი ნუ გაქვთ, ეგ სულ ტუალეტი ცდა იქნებაო და ისევ ის ამჯობინა, რომ ყველა სახლის პატრონმა თავის მეეზოვეს თვითონვე უნდა მოუარაოს. „სახლის პატრონს ნება აქვს მეეზოვე თავის სახლს იქით არ გაუშვას. ჩვენ ამით უნდა ვისარგებლოთ და მეეზოვეებს გამოვუცხადოთ, რომ სახლს არ მოშორდნენ ხოლმე და თუ არ ასრულეს, დავითხოვოთ“. კამთიდან და მოუვანილ მაგალითებიდან გამოირკვა, რომ სახლის პატრონს პოლიციისგან ნებადაურთველად მეეზოვის დათხოვნის ნება არა აქვს. კიუჩარიანცმა გამოაცხადა: „რა ვქნა, რა უნდათ ჩვენგან, რას ჩაგვაცივდნენ! არ გვინდა არც გაძლიერებულ დაცვის წესი, არც მეეზოვენი და არც ბიუროკრატიის „ოპეკა“. ჩვენ სრული წლოვანნი ვართ და ჩვენ საქმეებს ჩვენვე მოუვლით. დაგვანებონ თავი, მოგვასვენონ, არავერი გვინდა მაგათი!“ (სიცილი). ბაბოევმა სთქვა, გაძლიერებულ დაცვის წესის გაუქმება მთავრობას-კი არ უნდა ვსთხოვოთ, არამედ მოვსთხოვოთო. დოლუხანოვმა პროტესტი განაცხადა იმის შესახებ, რომ პოლიცია მსახლის პატრონებს გამოუცხადა, სომეხ მეეზოვეს ნუ დაიჭერო.

საბჭომ დაადგინა: ვიშუამდგომლოთ, რომ ტფილისში შემოდებულ გაძლიერებულ დაცვის წესი გაუქმდეს და მეეზოვენი პოლიციის ადარ ემორჩილებოდნენო.

საბჭომ მოისმინა 33 ხმოსნის განცხადება შესახებ იმისა, რომ 23 იანვარს დაშავებულებს ქალაქმა დახმარება ადმოუჩინოსო, და ერთხმად გადასწყვეტეს: დაინიშნოს 7 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც დაშავებულთ 2,000 მ. უნდა დაურიგოს.

მერე წაკითხულ იქმნა განცხადება 38 ხმოსნისა, რომელნიც თხოულობდნენ, ნებართვა ვიყოთ, რომ ქალაქის წარმომადგენლებმა 23 იანვარს მოხდარი ამბები გამოიკვლიონო. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ კომისიამ ეს საქმე უნდა გამოიძიოს და მერე გამოაცხადოს. მუშებს ნება უნდა ჰქონდეთ გაფიცვისა, კავშირებისა, კრებებისა და სხ.; ქალაქის თავმა ამის შესახებ წაიკითხა მთავარ-მართებლის თანხმდებობის ადმსრულებლის მოწერილობა, სადაც ნათქვამი იყო, რომ ამის შესახებ კამათი ხალხის დაუსწრებლად უნდა მოხდესო. ეკანგულოვმა, ს. ბაბოევმ, ს. არღუთინსკემ, გ. თუმანიშვილმა, ხუდადოვმა და სხ. განაცხადეს, ეგ წარსულ კრებას შეეხება, რადგან მაშინ საქმე გამწვავებული იყო და მაშინ ამიტომ არ შეგეძლო ამაზე დაბარაკი, ესლა-კი სრული უფლება გვაქვსო. ხმ. ს. არღუთინსკემ ბევრი იდაბარაკა ამის შესახებ და მოითხოვა: მუშებს გაფიცვისა, კავშირებისა და კრებების ნება უნდა მიეცეს. «მუშებს თავის ინტერესების დაცვის ნება არა აქვთ, მექარხნეებს-კი გაფიცვის დროს მთავრობა ხელსაც უწყობს. მუშების საკითხმა ჩვენშიაცა და უფრო-კი ევროპაში ადგილი ასოდ-წია. საზოგადოდ ბრესსა, და უფრო კი ჩვენში, მუნჯია, მონაა, სამარისებური სიჩუმით არის მოცული და ცხოვრების სულაც ვერ ანათებს. 23 იანვარს პოლიცია და ჯარი ქალაქს იკლებდნენ, ყველას სკამდნენ, სცემეს ქალებსაც, მოხუცებსაც და ბავშვებსაც კი; სცემდნენ ყველგან და ყველას; ხალხს თოფები დაუშინეს, ხმლებით მიესივნენ, 8 წლის უმაწვილი დასჭრეს და მრავალი დასასახიჩრეს. ბრესსა კი ამ დროს სდუმდა. ამიტომ ჩვენ მოვალენი ვართ დაუყოვნებლივ მოვითხოვოთ თავისუფლება ბრესისა, დაბარაკისა, კრებებისა, კავშირებისა, გაფიცვისა და სხ.“.

ქალაქის თავმა წაიკითხა განცხადება 700 მოქალაქისა, რომელნიც სწერდნენ, მეეზოვენი და პოლიცია ჩვენს შვილებსა და ჩვენცგვცემენო, და თხოულობდნენ, რომ დონე იდონეთ და დაგვიცავითო. შემდეგ წაიკითხა ტფილისის ნაფიც ვექილთა და მათ თანაშემწეთა დადგენილება. ვექილები პროტესტს აცხადებდნენ 23 იანვარს პოლიციის უკანონო და სასაზღვარ ქცევის წინააღმდეგ და დაუდგენიათ, რომ ამ დღეს დაშავებულთ ქონებრივი შემწეობა და უფასო იურიდიული დახმარება ადმოვუჩინოთო. სვეშნიკოვმა წაიკითხა რატიშვილის გამოკვლევა კავკასიაში ხალხის გადატაკების შესახებ და სთქვა: «იქ, სადაც „ჯოჯოხეთური“ პოლიტიკა გამეფებული, იქ, სადაც არ არის თავისუფლება კავშირებისა, კრებებისა, გაფიცვისა, სიტყვისა და პრესისა, იქ, სადაც მონობა სუფევს—ხალხის გადონიერება და გაძლიერება შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ მოვალენი ვართ ეხლავე მოვითხოვოთ სრული თავისუფლება და ხალხს ჩვენვე გავუძღვეთ». ბაბოევმ სთქვა: „ჩემ-ებრ ბევრ-ებ-ებ-ებ

მაგივრად, ნიშნავენ გრაფ იგნატიევს. დანიშვნა რამდენისამე დღის შემდეგ იქნება გამოცხადებული. (სლ.).

— იმავე გაზეთს პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ 9 იანვარს მომხდარ ამბების გამოძიება მიენდო სახელმწიფო საბჭოს წევრს გრაფ პალენს. (სლ.).

— პოლიციის ცალკე სამინისტროს დაარსება ფონ-პლევეს დროს იყო განზრახული, თ. სვიატოპოლკ-მირსკის მინისტრობის დროს-კი ამ განზრახვას თავი დაანებეს. ეხლა, როგოც „ნაშა ჟიზნ“-ს შეუტყვია, ისევ ჰფიქრობენ თურმე ამ ახალ სამინისტროს შემოღებას.

ნარკვევი

გაზეთ „ნოვოსტი“-ს 2 თებერვლის №-ში ვკითხულობთ:

„ახლანდელი წეს-წყობილება ამას იქით აუტანელია“...

ამას სწერენ „ნოვოე ვრემიაში“.

თუ კი იქ ამას ამბობენ, რადა უნდა ითქვრონ გულწრფელმა, პატიოსანმა, სამშობლოსთვის თავდადებულმა კაცებმა?

უგელასთვის ცხადი შეიქმნა, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება, უბედურმა ომმა და უკანასკნელმა შინაურმა ამბებმა გაადვიძა საზოგადო სინიდისი და დაარწმუნა ყველა, რომ უნაყოფოა ნასვენარი, წიდადი რეფორმები და გაუმჯობესებანი.

„მხოლოდ თავისუფალ ხალხს, თავისმიერ თავისუფლად ამორჩეულ წარმომადგენელთა მეოხებით, შეუძლია იხსნას რუსეთი“...

ეს სიტყვები ყველას ენაზე აკერია დღეს.

მეტნიერი თუ მუშა ყველა ამას თხოულობს დღეს.

ამიტომ საკვირველი არ იქნება, თუ საერო კრება („ზემსკი სობორ“) მოხდა.

საკითხი მხოლოდ ის არის, რა უფლებები ექმნება ამ საერო კრებას და როგორ იქმნება იგი ამორჩეული?

უწინდელი საერო კრებები, ცხადია, დღეს აღარ გამოდგება.

ხალხმა თვით უნდა მიიღოს მონაწილეობა კანონმდებლობაში, განახორციელოს სისრულით თავისი ნება.

თუ საერო კრება მოწვეულ იქმნება ბიუროკრატიულ მოხელეების პროგრამითი, როგორც კრება „მცოდნე პირთა“, უბრალო რჩევის მისაცემად, თუნდ ერობათა წარმომადგენელნიც მოიწვიონ, ამგვარი კრება ვერ იქმნება გამოხატველი საქმეთა სურვილებისა, ვერ მოიპოვებს ქვეყნის ნდობას.

თუ უნდა იყოს საერო კრება, უნდა იყოს ისეთი, რომ ქვეყანა ენდობოდეს.

და ეს შესაძლებელი იქმნება მხოლოდ მაშინ, თუ მისი წევრები არჩეულ იქმნებიან სხვა-და-სხვა კუთხეებში, მაზრებში, საოლქოებთა, პირდაპირ, თანასწორ და დახურულის კენჭის ერით.

თუ კრებაზე მხოლოდ ვაჭართა წოდების, ქალაქების და ერობების წარმომადგენლებს მოიწვევენ, ამას არ მოჰყვება სასურველი შედეგი, რადგან ვერ გაიგებთ ქვეყნის ნამდვილ აზრს.

ერობებში ხმასანთა 90 პროცენტი თავად-აზნაურები არიან, საქალაქო მმართველობებში—მხოლოდ ხალხის პატრონები...

ვისი-და წარმომადგენლები იქმნებიან საერობა კრებაზე?

აზნაურები, ვაჭრები...

ნამდვილი ხალხი-კი არ იქნება, ხალხის სმას ვერავინ ვერ გაიგონებს.

„ნოვოე ვრემიას“ ეშინიან, თუ ხსენებულის წესით იქმნენ მოწვეულნი საერო კრების წევრები, ურიები ავსებენ კრებასაო.

მაგრამ ასეთი სისულელე შეუძლიან სთქვას მხოლოდ „ნოვოე ვრემია“-ს, სხვას არავის“.

***

იმავე №-ში ბ-ნი ვ. ვ. ამტკიცებს, რომ რუსეთში მთავრობა არასოდეს არ უყურებდა ნდობით საზოგადოებას, ასე გასინჯეთ, თავად სვიატოპოლკ-მირსკიმაც-კი არ შეუშვა საგუბერნიო სამიწად-მოქმედო რჩევებში ერობათა წარმომადგენელნიო. შემდეგ განაგრძობს:

„მინისტრთა კომიტეტი ბიუროკრატიულ გზას ადგია შინაგან რეფორმათა განხორციელების საქმეში, ასე გასინჯეთ, მოსსენებასა და ბჭობებსაც-კი არ აქვეუნებს. მართალია, კომიტეტში არიან ადგილობრივი წარმომადგენლები და ექსპერტები, რომელნიც მხოლოდ ბჭობაში იღებენ მონაწილეობას, საკითხის გადაწყვეტის დროს-კი ხმა არა აქვთ, მაგრამ მათის არჩევის წესი და მათის ხმის მნიშვნელობა ცხადად ამტკიცებს, რომ საზოგადოებას არ მიენიჭება ინიციატივა კანონმდებლობაში“.

სიმართლე მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრის ოქროს ხატის შესახებ.

1888 წელს, ივლისის მიწურულებში მე და ძვირფასი ბიძა ჩემი ყ<u>ლ</u> სამღვდელო ალექსანდრე ვიყავით მოსკოვში. ბიძაჩემმა გაიხსენა, რომ მოსკოვში სახლობს ქართველთ ბატონიშვილების ჩამომავალი და უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის ქვრივი გრაფინია ტოლსტაია, რომელსაც ჩემს ახალგაზდობაში ვიცნობდი და, ვგონებ, ეხლაც სასიამოვნოდ დარჩეს ქართველ მღვდელთ-მთავრის ნახვაო. გადავწყვიტეთ მასთან სადარბაზოდ მისვლა. ქალბატონმა ტოლსტაიამ დიდის აღტაცებით მიგვიღო და მთელი დღე თავისთან დაგვტოვა. რადგანაც ტოლსტაია ღრმა მოხუცებულობისა გამო ველარ დაიარებოდა და სავარძლით მოძრაობა დიდად დაღალავდა, მან უბძანა დაახლოვებულ პირს ეჩვენებინა ჩვენთვის კარის ეკლესია და მისი სამკაულ-განძეულობა. ეკლესიის სამკაულთა უძვირფასეს ნაწილს შეადგენდნენ ქართველთა სიწმინდენი მბჭედრულისა და ხუცურის წარწერებით. გვიამბეს, რომ ძვირფასი სასახლე, დიდებული ბაღი და ეკლესია მთელის მოწყობილობით გრაფინიას სიკვდილის შემდეგ მისის ანდერძით მოსკოვის სამღვდელოების საკუთრებად შეიქნებაო. გული ჩაგვწყდა, მწარე დარდმა მოგვიცვა, ვიფიქრეთ, ასე გვეკარგება და ხელიდან გვეცლება მამა-პაპათაგან შენაძენიო, მაგრამ რა ჩარა იყო, რომ არ გავჩუმებულიყავით და ისევ გულში არ ჩაგვეკლა მწარე დარდი!

ჩვენი ყურადღება მიიქცია განსაკუთრებით ოქონის ხატმა. ვთხოვეთ ეს ხატი გამოეტანათ ეკკლესიიდან სადარბაზო ოთახში. აქ გრაფინიას ავუხსენით—ეს ხატი იმითია ძვირფასი და საყურადღებო, რომ როგორც მის მორთულობას ეტყობა, იგი სალაშქრო ხატია, მას იკეთებდნენ მკერდზე მღვდელთ-მთავრები და მიუძღოდნენ მხედრობას, მითი ლოცავდნენ და ამხნევებდნენ საწმუნოებისა და მამულისათვის თავდადებულებს. დიდის თხოვნითა და ვედრებით შეეხვეწეთ,—ამ ძვირფას განძს ნუ დაუკარგავთ საქართველოს, თქვენდა სასახელოდ, თქვენ წინაპართა სულის საოხად ამოდენა სიწმინდეთაგან ეს ერთი ხატი მაინც დაუბრუნეთ ქართველთ ეკკლესიასო. გასჭრა მუდარებამ, დაგვთანხმდა გრაფინია და ბრძანა: „მომეცემა თუ არა შემთხვევა, ამ თქვენ მიერ გამორჩეულ ხატს გამოვგზავნი ჩემის სახელის სამუდამოდ მოსახსენებლად მცხეთის დედათა მონასტერში დასაცავადო“. ფრიადი მადლობა შევწირეთ კეთილ ბატონიშვილს და გახარებულნი დავბრუნდით მოსკოვიდან ტფილისში.

იმ ხანებში აწ განსვენებული იღუმენია ნინო ემზადებოდა მოსკოვში წასვლას იოანნიკე მიტროპოლიტის სანახავად. ამ მიტროპოლიტმა დაუტოვა იღუმენია ნინოს ხუთასი თუმანი სამთავროს მონასტრის გალავანში წმ. ნინოს ძველ სამლოცველოსთან ახალ ეკკლესიის ასაშენებლად. იღუმენიამ აღნიშნული ფული მთლად დაახარჯა ეკკლესიის შენობას, მაგრამ შენობის მოთავებას ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლდა. იღუმენიამ იფიქრა—მოსკოვში წავალ, იოანნიკე მიტროპოლიტს ვნახავ, წარვუდგენ ანგარიშს მის მიერ ნაწყალობებ ფულისას, გავაცნობ შენობის გეგმას, ავუხსნი მონასტრის უღონობას და გამოვთხოვ ლოცვა-კურთხევას ამ საჭიროებისათვის მოსკოვში ფულის შესაკრებად.

რა თქმა უნდა, ბიძაჩემმა და მე დაწვრილებით ვუამბეთ დედა იღუმენია ნინოს ყველაფერი შესახებ ტოლსტაიას დაპირებისა და დავავალეთ, თითონაც ცდილიყო ხსენებულ ხატის შეძენას. დაბრუნდა თავის დროზე იღუმენია ნინო მოსკოვიდან და, ჩვენდა გასახარებლად, თან ჩამოიტანა ოქონის ხატი. მე, როგორც მონასტერთა კეთილმოწესემ (ბლაღოჩინმა), ვნახე თუ არა პირველად, რომ აღნიშნული ოქონის ხატი ესვენა იღუმენიას საცხოვრებელ ოთახში და არა ეკკლესიაში, ვთხოვე იღუმენიას, ხატი დაესვენებინა უეჭველად ეკკლესიაში, მაგრამ მან მიბძანა: აზრადა მაქვს ეს ხატი დავასვენო ახალ ეკკლესიაში და მის კურთხევამდე ნუ გადამატანინებ ძველ ეკკლესიაშიო. შემდეგში მე იმერეთში წამოვედი და იმ ხატისთვის თვალი აღარ მიდევნებია.

აი, შეურყეველი ჭეშმარიტება ოქონის ხატის შესახებ, აი ის, რაც ჩემის საკუთარის თვალით ვნახე, ჩემის ყურით მოვისმინე და ჩემის ენით გავარიგე, რაც არა ერთ გზის მიამბნია სიტყვა-სიტყვით ჩემ მრავალ ნაცნობთათვის. მე აღარ ასოდეს გულშიაც არ გამიტარებია მეთხოვნოს განსვენებულის იღუმენიასთვის მამა პოლ. კარბელაშვილის მოციქულობით ოქონის ხატი გორის ოქონის ეკკლესიას დაუბრუნეთ-მეთქი; არ შემეძლო ამ აზრით მიმეგზავნა იგივე მამა კარბელაშვილი ღრმად პატივცემულ ბ-ნ ნ. ალექსი-მესხიშვილთან და, ცხადია, ნათქვამი ჩემს შესახებ ბ-ნ ნ. მესხიშვილის წერილში (იხილე „ივერია“ № 14, თებერვლის 2-სა) შედეგია რაღაც უცნაურ და საეჭვო გარემოებისა. მართალია, ყ<u>ლ</u> სამღვდელო კირიონს სურდა ოქონის ხატი მიეტანა გორის ოქონის ეკკლესიაში, მაგრამ ვერ დაითანხმა ამაზე იღუმენია და ვერ დაითანხმა იმის გამო, რომ იღუმენია ბძანებდა—ტოლსტაიამ ეს ხატი დაუთმო მცხეთის დედათა მონასტერს და არა სხვა რომელსამე ეკკლესიასაო.

ეპისკოპოსი ლეონიდი.

წერილები რედაქციის მიმართ.

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო იმათ, ვინც კეთილ ინება და დიდი-ჯიხაიშის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს საკუთარის შენობის ასაგებად შემწეობა აღმოუჩინა ნაღდ ფულათ.

სია შემომწირველთა ფულით: მიხეილ არჩილის ძე ლორთქიფანიძემ—10 მან., იაგორ ლევანის ძე ლორთქიფანიძემ—10 მან., პოლიკარპე ესტატ. ლორთქიფანიძემ—5 მან., ილარიონ ტარიელის ძე ლორთქიფანიძემ—5 მ., ანდრო ანტონის ძე შუბლაძემ—5 მ., მღ. სამსონ დევიძემ—3 მ., მასწ. ათანასე ხარაბაძემ—3 მ., მღ. პლატონ ცაგარეიშვილმა—2 მ., მასწ. დავით დევიძემ—2 მ., რაჟდენ კახაძემ—2 მ., ათანასე შუბლაძემ—1 მ., ილარიონ ლეჟავამ—1 მ., ალექსანდრა დევიძემ (მასწ. ქ.)—1 მ., ქეთევან ლეჟავამ მღ. შვილმა—1 მ., მასწ. მიკოლოზ შუბლაძემ—2 მ., ანანია ბარნაბა გელაზანიამ—2 მ., ივანე ვასილის ძე დიდიძემ—2 მ., [illegible] ლეჟავამ—2 მ., არქიფო ხარაბაძემ—2 მ., ნადია ლეჟავასამ—2 მ., ბესარიონ ჩომახიძემ—2 მ., ბართლომე ვასილის ძე ვაშაკიძემ—2 მ.

მასალით და მუშაობით: თავად გიორგი ჩხეიძემ—6 მ., ივანე ზურ. ლეჟავამ და მათმა ძმებმა—10 მ., იოსებ ეგნატეს ძე ლეჟავამ—3 მ., ზაქარია შუბლაძემ (მუშაობა)—3 მ., ონისიმე ნუცუბიძემ (მუშაობა)—50 კ., ივანე შუბლაძემ სახლი დაგვითმო ნაკლებ ფასში და ერთი თუმანიც შემოსწირა (10 მ.), ხახულო ლორთქიფანიძემ—2 მ., სოფრონ ბონგაძემ მუშაობა—60 კ., და ნახევარი ადგილის დათმობა სამკითხველოსათვის 5 წლის ვადით. ნესტორ ესტ. ლორთქიფანიძემ—1 მ., ტარიელ ლორთქიფანიძემ—1 მ. 50 კ., დიმიტრი ლორთქიფანიძემ—2 მ., ანდრია ნუცუბიძემ—1 მ., მანუჩარ ლორთქიფანიძემ—1 მ., სიმონ ლორთქიფანიძემ—2 მანეთი.

ფულით: თავად სოლომონ ჩხეიძემ—1 მ., გიორგი ღოლობერიძემ (ექიმი)—1 მ., კონსტანტინე ნემსაძემ—1 მ., მინადორა ხარაბაძისამ—1 მ., იაკობ ჩხიკვაძემ—1 მ., ალექსანდრე ლეჟავამ—1 მ., ალექსანდრე შუბლაძემ—1 მ., ევგენი ჩხეიძემ—1 მ., მათე ვაშაკიძემ—1 მ., მელიქისედეკ ჩომახიძემ—1 მ., თედორე ნუცუბიძემ—1 მ., ტატო ლეჟავამ—1 მ., მიხეილ ლეჟავამ—1 მ., ბესარიონ ესებუამ—50 კ., ვარლამ ვაშაკიძემ—1 მ., კონსტანტინე ქუთათელაძემ—50 კ., სოლომონ ჟორჟოლიანმა—1 მ., ერმილე ჟორჟოლიანმა—1 კ., ილარიონ ხარაბაძემ—50 კ., ალექსანდრე ნემსაძემ—50 კ., მათე ვაშაკიძემ—50 კ., კოსტა ვაშაკიძემ—50 კ., ლუკა ლეჟავამ—50 კ., დავით ლეჟავამ—50 კ., ოქროპირ ვაშაკიძემ—1 მ., ერმილე გორდაძემ—50 კ., ერმილე მიქელაძემ—1 მ., ალექსი ლეჟავამ—50 კ., ოქროპირ კახაძემ—20 კ., დავით კოხრეიძემ—20 კ., ლუკა მანჯგალაძემ—20 კ., კონსტანტ. ბიბილეიშვილმა—20 კ., ბაბუნაშვილი ირეოდი—20 კ., დარისპან მიქაძემ—20 კ., მიხაკო კაჭახიძემ—20 კ., ივანე სანაძემ—20 კ., სევერიანე დარსუელიძემ—35 კ., რომანოზ ნუცუბიძემ—20 კ., ალექსანდრე გულდედავამ—20 კ., ნესტორ კაჭახიძემ—10 კ., მირონ ავაქოვმა—10 კ..

დიდ-ჯიხაიშის სამკითხველოს გამგე

ივანე ლეჟავა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 თებერვალი.

ტოკიო. გუშინ სეიუკაის დასის მეთაურ საიონის მიერ გამართულ ბანკეტ-

---

მინდის ფქვილს, ცოტა ლობიოსაც გამოაყოლებდნენ და ამითი ვიკვებებოდი: ბევრჯერ მშიერ-მწყურვალი ვიყავი, რასაკვირველია.

ცხონებულის დედიჩემის ქელეხში კი გავძეხი ერთხელ, თორემ მას გარდა, არ მახსოვს, ოჯახში გავმაძღარიყავ; ტანისამოსი ეის ჰღირსებია, ან ფეხსაცმელი. ერთი დახეული, დაკონკილი ბლუზა-შარვალი მეცვა, რომელიც იმდენი ვაკერე, რომ კაჭკაჭივით ავჭრელდი დაკერებულ ნაჭრისაგან. ერთი რაღაც ფარაჯასავით მიშოვნა მამა-ჩემმა და ის იყო ჩემი ქვეშსაგებ-სახურავი. ფეხსაცმელიც აი როგორ მეღირსა პირველად: ერთ მშვენირ დილას, რომელიც მამა ჩემისთვის სულაც არ იყო მშვენიერი, ნახეს ჩვენი ცხენი გადაცვლილი და საუკუნო განსვენებას მიცემული ეზოს ბოლოში. (ის ოხერი ნამეტან სიმსუქნისაგან ქონს მიელრჩო. ხედავ, ოხუნჯობასაც ვურეე, მინდა ცოტა კიდეც გაგაცინო). გაეტყავებიათ და ერთი საქალამნე მეც მხვდა. ის იყო და ის, მეტი არ მღირსებია სასწავლებლის გათავებამდის, იმასაც ვაკერე ხან ჭინჭები, ხან რაღაც ჯღარკები და ამნაირად გამყვა გათავებამდის.

რა ვქნა, ჩემო ძვირფასო, შენ ვერაფერს ვერ დაგიფიცავ.

ახლა სწავლას არ იკითხავ? შენ არ მოუკვდე შენს ზურაბს, ჩემს თავში ისე არა შედიოდა რა, როგორც კედელს ცერცვი, —რომ იტყვიან, მაგრამ თუ გამათავებიეს სასწავლებელი, ერთი რამის წყალობით. ერთხელ, ჩემდა საბედნიეროდ, რაღაც ამბავი მოჰხდა სასწავლებელში ჩუმად. არავის არ უნდა გაეგო, შეგირდებს გარდა. იმათშიაც ზოგიერთსარ უნდა სცოდნოდა. მეც, რასაკვირველია, დიდხანს არ დავაყოვნე, ავდექი და ყველაფერი ვუამბე უფროსს. იმანაც თავზე ხელი დამისვა, მომიალერსა, რაღაცეები მაჩუქა და მითხრა, რომ ყოველთვის ასე პატიოსნად მოვქცეულიყავ, არაფერი არ გამომპაროდა ჩუმად მომხდარი ისე, რომ იმისთვის არ მეთქვა; მეც, რასაკვირველია, გავუსვი ხელი და ტყვილს და მართალს, მომხდარს და არ მომხდარს, ყველაფერს ველაპარაკებოდი. ამნაირად, მეც ძლიერ საჭირო კაცი შევიქენი თურმე მათთვის და, რაც შეიძლებოდა, პატივს მცემდნენ; სწავლა ხომ სულ გადამავიწყდა, რადგანაც კლასიდგან-კლასში ყოველ წელიწადს გადავყავდით. ამ ამბით გავათავე, როგორც იყო, და დიდის საჩუქრებით და პატივისცემით გამიშვეს; თან დამარიგეს, თუ სამსახურში შევიდოდი, იქაც ასე პატიოსნად მოვქცეულიყავ.

გამიშვეს, მაგრამ რა? თავში ეხლა რა არის და მაშინ სულ რა იქნებოდა! მამა-ჩემი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, რომ, როგორც იყო, ეღირსა ჩემის სწავლის დასრულებას. ბატონ-ყმობის მოსპობით გულზედ მოდებული ცეცხლი ცოტა ჩემით გაუნელდა. ახლა სულ იმას ფიქრობდა, თუ სად ეშოვნა ჩემთვის სამსახური. დიდის ცდისა და მეცადინეობის შემდეგ მიშოვნა პოლიციაში მწერლის ალაგი. ცოტა ხნის შემდეგ დამინიშნეს ძლიერ ცოტა ჯამაგირი.

ოჰ, რა აუტანელია პოლიციაში სამსახური! მთლად ავტომატად უნდა გადიქცე. ჩემით მაინც არა შემეძლო-რა, მაგრამ, თუნდ შემძლებოდა, ვინ რას დამაწერინებდა? ვიჯექი და ვათეთრებდი სხვის შავად დაწერილს, რომლის ასოებსაც ძლივს ვარჩევდი. ვათეთრებდი თორემ, მე შენ გეტყვი, საუცხოო ხელი მქონდა! ეჯღაბნიდი საოცრად. ჩემი მართლწერა ღმერთმა შეინახოს, იმის არც ეხლა მესმის რამე, თორემ მაშინ მით უმეტეს.

რამდენი დაცინვა, რამდენი დამცირება, ლანძღვა და მასხარად აგდება ავიტანე, ვინ მოსთვლის, ჩემო კეთილო. ძალიან გამიჭირდა, მაგრამ რას ვიზამდი? მივმართე მოთმინებას: მოთმინებითა შენითაო, სთქვა ქრისტემ,—და მის მეტი არც გამომიტანია რამე სასწავლებლიდგან. ყველაფერს მოთმინებით ვიტანდი. ლანძღვა რომ გამეგონა, ყურს ვიყრუებდი, თითქოს არ გამიგონია-მეთქი.

ისე დამიმონეს, რომ უფროსი ღმერთი მეგონა და დანაშთენები—ანგელოზები. რასაც მეტყოდნენ, ყველაფერზე такъ точно-ს ვიძახდი ნამსახურ სალდათივით. ჩემი ნაცნობი მელაპარაკა გუშინ, ვიღაც რუსის მწერალი ყოფილა, გოგოლიაო თუ ვიღაც, იმის მოთხრობაშია აკაკი აკაკიევიჩიო. მის ამბავს რომ მომიყვა, მთლად მაშინდელი ჩემი მდგომარეობა წარმომიდგა: მეც იმასავით ვიყავი დიდხანს ყველასაგან აბუჩად აგდებული და ყურადღება მიუქცეველი. ერთ საღამოს ჩაფიქრებული ვიჯექი და ვწუხდი ჩემს ასეთს უბედურებას. ამ მწარე ფიქრებში რომ ვიყავი, უცბად თვალს წარმომიდგა რამდენისამე წლის წინად მიტოვებული სასწაულებელი, გამახსენდა, რომ ვერ ვსწავლობდი, იქაც ასე ვიყავ აბუჩად აგდებული, წარმომიდგა ისიც, თუ რა საშვალება მოვიხმარე იმისთვის, რომ უფროსების ყურადღება დამემსახურებინა; ძლიერ გამეხარდა, როდესაც ეს საშუალება მომაგონდა ჭ<u>ლ</u> მასთან სასწავლებლის გათავებისას უფროსის დარიგება, რომ სამსახურშიც ასე პატიოსნად მოვქცეულიყავ. დიდათ დავკმაყოფილდი, როდესაც ასეთი თავის მხსნელი და წინ წამწევი საშუალება მოვიგონე. შევადგინე მაშინათვე ჩემთვის ათის მცნების მზგავსი: აბა, ზურაბ,—ვუთხარი ჩემ თავს,—ათი მცნება შენთვის ეს არის: 1) უარ ჰყავ სინიდისი და პატიოსნება, თუ გინდა წინ წახვიდე; 2) ნურავის დაზოგავ, თუ მათი დაღუპვა შენ წინ წაგწევს; 3) სადაც მოახერხო, ხალხისაგან ფულის აღებას ნუ მოერიდები, თუ გინდა ფულიანი შეიქნე; 4) ყველგან ისე მოიქეცი, რომ მთავრობა მადლიერი გყავდეს, თუნდაც საზოგადოება გაფურთხებდეს, შენთვის ეგ არაფერია, სამსახურში უფრო ამაღლდები; 5) ნუ მოერიდები პატიოსანის კაცის დაღუპვას, იმის უბედურებაზე შენის ბედნიერების დამყარებას და სხვ.

მაშ წინ, ზურაბ! ნუ უღალატებ შენს ათ მცნებას, თუ გინდა ჩინი, წარმატება, პატივი, ყურადღების დამსახურება, ფული, კაცობა, ყველგან მიღება და სხვა-მეთქი,—ვუთხარი ჩემს თავს გახარებულმა, აღტაცებულმა ისე გავატარე ის ღამე, თითქმის სულაც არ დამიძინია.

მეორე დღიდგანვე შევუდექი ჩემის ათის მცნების ასრულებას. იქიდგან მოკიდებული თვე არ წავიდოდა, რომ ოთხი და ხუთი არ დამელუპა ჩემის ჯაშუშობით. ოჰ, გაგიტყდები, ჩემო მეგობარო, ჩემის წყალობით, ვინ იცის, რამდენი უდანაშაულო და მართალი თავის სამშობლოს მიდამოებს საუდამოდ მოშორებია! რა ვქნა, ჩინი მინდოდა, წარმატება მწყუროდა. უფროსს მეტად შევუყვარდი. ცოტა ხნის შემდეგ უბრალო გადამწერი საქმის მწარმოებელი გამხადეს. რამდენისამე ხნის შემდეგ ჯამაგირიც მომმატეს. წავედი მის შემდეგ მაღლა-მაღლა. ახლა ხომ ხედავ, რაცა ვარ. ქრთამის აღებას ვუფრთხოდი ძალიან, რადგანაც მისი გლახა შედეგი გაგონილი მქონდა, მაგრამ სადაც მოეასწრებდი, იცოცხლე ისე შენც და მეც, აღარ ვერიდებოდი და ვიღებდი.

ბოლოს ჩემი უბრალო ფიცრული ქოხი საუცხოო ოდა-სარაიად გადაიქცა, საჭმელ-სასმელი—რაღა სახსენებელია! ყოველ გვარ საქონელს ხომ თვლა არა აქვს. ფულიც შევიძინე, ჩინიც, კაციც გავხდი და ცხოვრებაც კარგი მაქვს. მგონია, რომ ბედნიერებაც ეს არის. რას ვჩივი მე, რომ ჩემმა ასე წინ წაწევამ, უსინიდისობამ, გაიძვერობამ—ათასი, თუნდაც მართალი, იმსხვერპლა.

ასე, ჩემო გულით მეგობარო! მე და შენ რომ სინიდისსა და პატიოსნებას გამოვკიდებოდით, ეხლაც საწყალ მწერლებად ვიქნებოდით.

გაკოცებ მრავალს, ჩემო ერთგულო მეგობარო, იმედია, კიდევ მასიამოვნებ შენის ბარათით. ჩემმა მეუღლემ მოგიკითხათ.

სოსიპ მთაშაველი.

ზედ, საიონმა მიულოცა სახელმწიფოს ერთსულოვნობა და თანხმობა, რის შედეგიც იყო შემოსაელის მომატება გაუჭირვებლად. ამასთანავე გამოსთქვა აზრი, რომ ერის თანხმობა შესძლებს ყოველნაირ გაჭირვების გადატანას და ამასთან დაუპირდაპირა იაპონიის ყველა წოდების თანხმობა რუსის საზოგადოებაში ჩამოვარდნილს განხეთქილებას.

ლონდონი. მეფე ედუარდის პორტსმუტში წასვლა, რომელიც უნდა მომხდარიყო 14 თებერვალს, გადაიდება სხვა დროისთვის. მეფეს აზრადა ჰქონდა გამოსთხოვებოდა ბატენბერგის პრინცს, სანამ ესკადრა ამერიკაში წავიდოდა, მაგრამ პრინცი, როგორც სიძე დიდის მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასულისა, წავა მოსკოვში მეუღლითურთ. ამის გამო პრინცს არ შეუძლიან გაჰყვეს ესკადრას პორტსმუტიდან, ის შეუერთდება ეკადრას ჰიბრალტარში.

ბერლინი. კრონპრინცი დაბრუნდა ფლორენციიდგან. რურის რაიონში გაგზავნილი პოლიციის რაზმები უკან დაბრუნდნენ.

ბუდაპეშტი. არ იციან როგორ გათავდება სამინისტროს კრიზისი; რადგანაც იმედი არა აქვთ შეადგინონ ახალი სამინისტრო, სელლი, ვეკერლე და ანდრაში უარს აცხადებენ. მემარცხენენი დაბეჯითებით თხოულობენ, რომ შესრულებულ იქმნას მათი მოთხოვნილებანი ჯარის შესახებ. ჰფიქრობენ დროებით სამინისტროს შედგენას, მაგრამ არავინ არა ჰკისრულობს, რადგან იციან, რომ ასეთი სამინისტრო დიდხანს ვერ გასტანს. იმპერატორმა მიიწვია ვენაში მინისტრად ნამყოფი დარანი და დეპუტატი ხადოში.

პარიზი. ინდო-ჩინეთის საზღვრების დაცვის გასაძლიერებლად მთავრობამ გადასდო 25 მილიონი ფრანკი, რომელიც უნდა მოჰხმარდეს თოფხანების მოწყობას, დოკების აშენებას, ზღვების გამოკვლევასა და რუკების შედგენას. ჰფიქრობენ, აფრიკაში კიდით-კიდემდე 4,000 კილომეტრის მანძილზედ გაიყვანონ რკინის გზა, რომელმაც უნდა გაიაროს საფრანგეთისა და ბელგიის კონგო და გავიდეს გერმანიის სამფლობელო აღმოსავლეთ აფრიკაში. რკინის გზას დაიწყებენ პორტ ლიბერვილში. ავსტრიის მთავრობა, რომელსაც აზრადა ჰქონდა ტრიესტში 48 ნაღმძლნის აშენება, ეხლა მხოლოდ 13 დიდ გემს აშენებს, რადგანაც რუსეთ-იაპონიის ომმა დაამტკიცა დიდ გემების უპირატესობა.

8 თებერვალი.

მოსკოვი, 7 თებერვალი. დიდის მთავრის კუბოს გადაფარებული აქვს საიმპერატორო ოქროს ფარჩის გადასახურავი. თან და თან გვირგვინების რიცხვი მატულობს. სხვათა შორის, გარდახდილ იქმნა პანაშვიდი გლეხ-კაცებისა და სოფ. ილინსკის და უსოვის მოწაფეების შეკვეთით. მკვლელი ჯერ თავის 'ვინაობას არ აცხადებს. ციხეში ტუსაღის ტანისამოსის ჩაცმაზედ უარი განაცხადა.

ბაქო. სომეხთა და თათრებს შორის გახშირდა მკვლელობა, ერთმანეთის მტრობით გამოწვეული.

თეოდოსია. „წმ. ნიკოლოოზს“ პორტარტურიდან დაბრუნებულებითურთ ელიან აქ დღეს, ნაშუადღევის ორ საათზე.

ტულა. საგუბერნიო საერობო გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია თავადი ლვოვი, წევრებად ტატიშჩევი, არბუზოვი და გაიარინი.

საჰარა. რვა დღის კერძო ბჭობის შემდეგ საგუბერნიო საერობო კრების ხმოსნები დაიშალნენ ისე, რომ არ განუხილავთ არც მოხსენებანი, არც ხარჯთაღრიცხვა.

ომსკი. ხმა არის, რომ კუროპატკინს მოუწვევია ციმბირის ოლქის ჯარების უფროსი გენერალ-ლეიტენანტი სუხოტინი მეორე არმიის სარდლის თანამდებობაზე. გენერალ სუხოტინს თანხმობა განუცხადებია, მაგრამ ამასთანავე მოუხსენებია, რომ შესაძლებელია ავადმყოფობამ ხელი შემიშალოს და ღირსეულად ვერ ავასრულო ჩემი მოვალეობაო.

ლონდონი. ინგლისის გემი „ლიუდეიანა“, რომელიც საქონლით დატვირთული მიდიოდა ვლადივოსტოკისკენ, შეპყრობილ იქმნა იაპონელებისაგან.

ლონდონი. (საკუთარ. კორესპონდენტისაგან). ირლანდიის საერო პარტიის წინამძღოლი რედმონდი ჰკიცხავს მთავრობას პარლამენტში და წინადადება შეაქვს შეიცვალოს პასუხი პარლამენტისა სეფე-სიტყვის მიმართ, ე. ი. ჩამატებულ იქმნას ამ პასუხში ჰომრულის მოთხოვნა. იგი ამბობს, რომ ახლანდელი მართვა-გამგეობა ირლანდიისა უწესოა, ძვირად ჯდება და წინააღმდეგია ირლანდიელ ხალხის კეთილ-დღეობისა და პროგრესისა, რადგან მისს ბედს განაგებს ბიუროკრატია, რომელიც არავის წინაშე პასუხს არ აგებს.

ლონდონი. (საკუთარ კორესპ.). ირლანდიელი ნაციონალისტები ენერგიულად ჰკიცხავდნენ მთავრობას პარლამენტში; მათ მიემხრნენ ირლანდიის უნიონისტები, რომელთაც არ მოსწონთ ახლანდელი მართვა-გამგეობა ირლანდიისა, და გაჰკიცხეს მთავრობა იმის გამო, რომ ირლანდიის საქმეთა სტატს-სეკრეტარის თანაშემწე სერ ანტოცი-მაკდონალდი ჯერ მოწვეული იყო ირლანდიის ვიცე-კოროლთან ერთად განსახილველად კანონისა, რომელსაც ჰომრულის ხასიათი აქვს, და შემდეგ-კი იგი უარყვეს, როგორც მისმა უფროსმა, აგრეთვე მთავრობამაც.

ᲦᲐᲛᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲨᲔᲑᲘ.

8 თებერვალი.

პეტერბურგი. ოფიციალური. უმაღლესი ბრძანება უმართებულეს სენატს: „ეხლანდელ ომის დროს იაპონიასთან წითელი ჯვარი დაჭრილ და ავადმყოფ მეომართა საშველად დიდ ხარჯს თხოულობს. ეხლა წითელ ჯვრის მოქმედება იმდენად გაფართოვდა, რომ გაცილებით მეტი ხარჯი მოუნდა, ვიდრე სხვა ომების დროს უნდებოდა ხოლმე. საჭიროდ ვსთვლით წითელ ჯვარს დავეხმაროთ, მაგრამ ისე კი, რომ სახელმწიფო ხაზინის თანხას ხელი არ ეხლოს და ამიტომ ვბრძანებთ, გამოიცეს დროებითი წესი თანახმად ჩვენის ბრძანებისა 1900 წ. 28 ივლისის თარიღისა და დაწესდეს: 1) ეხლანდელ ომის გათავებამდე წითელ ჯვრის სასარგებლოდ გადიდდეს საზღვარგარეთის პასპორტის ფასი 10 მანეთამდე; 2) საზღვარგარეთიდგან დაბრუნებულ იმ პირთ, რომელთაც რუსეთის საელჩოებისა და საკონსულოებისაგან აქვთ მიცემული პასპორტი, გამოერთვათ ხუთ-ხუთი მანეთი, თუ ამ პასპორტს ვადა გასული აქვს. და 3) იმ უცხოელთ, რომელნიც რუსეთიდან რუსულ პასპორტებით მიდიან, თითო ნახევარ წლის პასპორტში გამოერთვათ წითელ ჯვრის სასარგებლოთ ხუთ-ხუთი მინეთი. სენატი ამის შესახებ შესაფერს განკარგულებას მოახდენს“. ნამდვილზედ მისის უდიდებულესობის ხელით დაწერილია. „ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ“. ცარსკოე სელო, 21 იანვარი, 1905 წ.

მისი იმპერატორებითი უმაღლესობა პავლე ალექსანდრეს ძე სამსახურში დაინიშნა და ამასთან ისევ გენერალ ლეიტენანტის ხარისხი და გენერალ ადიუტანტის წოდება დარჩა.

ბერლინი. გაზეთები დაჟინებით სწერენ, რუსეთი და იაპონია მალე ზავს ჩამოაგდებენო.

ფაკებერგი, 7 თებ. დილის 5 საათზე მესამე ესკადრამ ლანგელინდის სამხრეთით გაიარა.

შანჰაი, 8 თებ. ნიუ ჩუანში იაპონელები რუსების თავდასხმას ელიან და საჩქაროდ პოზიციებს ამაგრებენ.—იაპონურ გაზეთების თანამშრომლები ამბობენ რუსეთის გენერლები ქვეყნის დამშვიდებას ცდილობენ, მაგრამ ის მაინც მართალია, რომ იაპონელთა 6 ესკადრონი და 1000 ქვეითა მეომარი რუსებს გზის მოჭრას უპირებენო.

ფეოდოსია, 8 თებ. დილის 9 საათზედ გენერალი სტესელი და პორტ-არტურელი აფიცრები მოვიდნენ.

პეტერბურგი. გენ. ად. კუროპატკინის უქვეშევრდომილესი ხეპეშა ხელმწიფე იმპერგტორის სახელობაზე 7 თებერვალის თარიღით: „დღეს ცინხენჩენის მიდამოებში მტერი ისევ წინ მოიწევს. 6 თებერვალს ჩვენმა რაზმა სოფელი დაპინდუშანი დაიჭირა. 5 თებერვალს ასისთავის ექსის რაზმი დაბრუნდა. ლიჩაგოუს მახლობლად ამ რაზმა მტერს სურსათის საწყობი დაუწვა. მტერმა ამ რაზმს სამის მხრით მოუარა, მაგრამ ჩვენებმა საწყობს ცეცხლი მისცეს და მთის ბილიკებით გამოიპარნენ.

ტოკიო. აქ ამბობენ, შახეზე რუსებსა და იაპონელებს საერთოდ 700,000 კაცი ჰყავთო. იაპონელები იუწყებიან, რომ კუროპატკინის მარცხენა ფრთეს ბევრი მაშველი ჯარი მოუვიდაო. ამ მხარეს რუსებს 6 დივიზია ეყოლებათ. კუროპატკინი ფუშუნში იმყოფება. რუსები ხუნხუზებს ქირაობენ იაპონელთა საწყობების დასაწველად. 7 ცეცხლის წამკიდებელი დალნში დაიჭირეს. იმათ სთქვეს: რუსებმა თითოს 600 ტაელი მოგვცეს და დაგვპირდნენ, თუ საქმე კარგად გააკეთეთ, თითოს 50,000 ტაელსაც მოგცემთო. ამათ, უეჭველია, ჩამოახრჩობენ.

ტოკიო. იმ ხმების გამო ვითომ მალე ზავი ჩამოვარდებაო, იაპონური პრესა სწერს: ზავის ჩამოგდებაზე ეხლა ლაპარაკი ადრეა, რადგან ჩვენ დარწმუნებულნი არა ვართ რომ დღეს ჩამოგდებული ზავი ხვალ ისევ არ დაირღვევა.

ლონდონი. რადგან ირლანდიელები მთავრობას ძალიან ჰკიცხავენ, ამიტომ ირლანდიის მეფის მოადგილემ ითხოვა, სამსახურიდან დამითხოვეთო.

ნიუ-იორკი. ბესემერის მახლობლად რკინის მალაროებში, ალაბამში, გაზი აფეთქდა მოკლულ იქმნა 250 მთის მუშა.

დროებით რედაქტორი ᲑᲠ ᲧᲘᲤᲨᲘᲫᲔ
გამომცემელი Ა. ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

ამ წლის 15 ოკტომბრიდან.

(ფრჩხილებს კარედ ნაჩვენებია ჰეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდგან მიდის:

ᲑᲐᲥᲝᲡ: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა, და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 22 წ. (11 ს. 22 წ.).

ლის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); საქონლის სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წუთ.).

ᲒᲝᲠᲯᲝᲛᲘᲓᲐᲜ: სამგზავრო № 8/7 დილის 6 (6 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ᲑᲐᲥᲝᲓᲐᲜ: სწრაფი № 19 (მხოლო პარასკევს) ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); საქ. და სამგზ. № 17 საღამოს 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲜ: საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 10 წ. (7 ს. 59 წ.).

ᲔᲠᲔᲕᲐᲜ-ᲧᲐᲠᲡᲘᲓᲐᲜ: საფოსტო № 76/77 დი-

ᲑᲐᲗᲣᲛᲡ: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲐᲠᲡᲡ: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲡ: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ; (3 ს, 38 წ:).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ᲢᲤᲘᲚᲘᲡ-ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡᲐᲙᲔᲜ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 48 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.)

გ) ბათუმიდან გამოდის:

ᲑᲐᲥᲝ-ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐᲙᲔᲜ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ᲑᲐᲥᲝ-ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐᲙᲔᲜ: 1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 7 წ.); სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (18ს. 18 წ.).

ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲔᲑᲘ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲖᲘᲜᲝ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝ—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ—მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ:

ᲐᲕᲚᲐᲑᲠᲘᲡᲐ—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

ᲙᲣᲙᲘᲘᲡᲐ—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

ᲮᲐᲠᲭᲣᲮᲘᲡᲐ—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი-ქალი პუტიატა.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝ ᲡᲣᲚᲘᲗ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲗᲐᲗᲕᲘᲡ—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

ᲡᲘᲤᲘᲚᲘᲡᲘᲗ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤ ᲥᲐᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

ᲒᲐᲓᲐᲛᲓᲔᲑ ᲡᲔᲜᲘᲗ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲗᲐᲗᲕᲘᲡ უფასო საავადმყოფო. გიმგე ექიმი გულულიანცი.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲣᲤᲐᲡᲝ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში,—სახლი გოლდლუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღმ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—8 „

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ქართველი ბავშვებისა.

ᲐᲚᲔᲥᲡᲘ-ᲛᲔᲡᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ—სარდიონის-ქუ. იდგას ᲡᲐᲓᲐᲡᲢᲐᲠᲝ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲔᲑᲡ და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ოთხშაბათ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოდგას ქუჩა, № 15

ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ—ლორის, მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის ბირდაბირ მესხიშვილის სახლი, № 18. იდგას ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-დე.

ᲥᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ Გ. ᲢᲧᲔᲨᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ იდგას ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოდგას ქუჩა, № 31.

Ვ. Ს. ᲛᲣᲡᲮᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ—კირჩხნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 ს., გარდა სამშაბათისა.

ᲕᲐᲬᲐᲫᲔ ᲡᲞᲘᲠᲘᲓᲝᲜ—ჰეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ᲒᲫᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ—ელისაბედის ქუჩა, სახლი მიდოვისა, № 5.

ᲒᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ᲣᲫᲕᲔᲚ ᲥᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲯᲔᲠᲒᲖᲐᲣᲠᲘᲗ

(წელიწადი მეხუთე—პირველი)

გამოვა 1905 წელს 16 იანვარიდან ვრცელის პროგრამით

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ მონაწილეობას მიიღებენ: ფ. მახარაძე, ივ. გომართელი, ნ. ელიავა, ი. ევდოშვილი, ი. კვიცარიძე, ნ. კალანდაძე, ლალიონი, გ. მარმალაძე, ყვირილელი, კ. ჯაფარიძე, ა. წულუკიძე, გ. წულუკიძე და სხვები.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ:

ერთის წლით—5 მან., ნახევრის წლით—3 მან., ცალკე ნომერი—სამი შაური. წლიურის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში: „მოგზაურის“ რედაქციაში (რეუტოვის ქუჩა, № 21) და წერა-კითხვის სახ. მაღაზიაში შიო ქუხუკაშვილთან, ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან, ზიაუურაში—ირ. დეკანოზიშვილთან, სამტრედიაში—ყარამან ნანეიშვილთან, ხონში—ექმ კიკალიშვილთან. რედაქცია იმყოფება რეუტოვის ქუჩაზე სახლი 21. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «МОГЗАУРИ».

რედაქტორ-გამომცემელი ი. ᲑᲠ. ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ᲯᲔᲯᲘᲚᲘ“

წელიწადი მეთექვსმეტე

გამოვა 1905 წელსაც თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისთვის და მოზრდილთათვის.

„ჯეჯილში“ მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები.

რედაქციასთან დაასებული კომისია ყოველ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის გასაუმჯობესებლათ.

რედაქცია ეცდება ხშირათ ჩაურთოს «ჯეჯილის» ნომრებში ნახატები ფერადის წამლებით და აგრეთვე შეძლებისამებრ მისცეს პრემიათ სხვა და სხვა სასიამოვნო და სასარგებლო წიგნაკები.

ჟურნალი «ჯეჯილი» მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო საბჭოებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი «ჯეჯილი» ტფილისში დატარებით ღირს 4 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან., ნახევარის წლით 2 მან. 50 კ., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ**—«წერა-კითხვის გამ. საზოგადოების» კანცელარიაში (Дворцовая ул, д. Груз. Двор., № 101), და თვით «ჯეჯილი»-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса)

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმ.-წერეთლისა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲛᲐᲬᲕᲘᲚᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

„ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘ“

ს-ურათებით

ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲪᲔᲛᲐ ᲛᲪᲘᲠᲔ-ᲬᲚᲝᲕᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲝᲖᲠᲓᲘᲚ ᲧᲠᲛᲐᲗᲐᲗᲕᲘᲡ

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი—მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ იანვარიშეა 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან., ცალკე-ცალკე 3 მან., ნახევრის წლით ორივე გამოცემა 2 მან. 50 კაპ.; ხელის მოწერს შეუძლიან თვეში თითო მანეთიც შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კ., მცირე-წლოვან ყრმათა—15 კ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩ., № 5. სახლი პოპოკისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ“.

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიაში

„ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲬᲠᲘᲡ“ მიერ გამოცემული

„ᲖᲚᲐᲞᲠᲔᲑᲘ“

წიგნში მოთავსებულია მხატვრის ო. შმერლინგის მიერ დასურათებული ჩვიდმეტი ხახური ზღაპარი. წიგნი დიდის ფორმატისაა, შეიცავს 160 გვერდს და ღირს 1 მანეთად 30 კაპ.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 8 февраля, 1905 г. Типографія Т-ва „ТРУДЪ“, Фрейлинская № 5.